ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 216 (12062) ◆ ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 1990 წელი. ◆ ფასი 5 კაპ.





კეთილი და ნათელი მუსიკა

უსაუცესი ქართველი კომპოზიტორის ანდრია ბალანჩივაძის მუსიკასთან შეხვედრა ყოველთვის დღესასწაულია. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა მისმა საავტორო კონცერტმა, რომელითაც თბილისში გაიხსნა საშემოდგომო მუსიკალური სეზონი.

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, რომლის პულტთან იდგა ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, მსმენელებს შესთავაზა 1944 წელს შექმნილი სიმფონია. ოპტიმიზმითა და რწმენით აღსავსე ეს თხზულება მკაფიოდ და ცოცხლად აღიერდა.

ქრისტომათიულ ნაწარმოებად იქცა კომპოზიტორის მესამე „ბაბუკური“ საფორტეპიანო კონცერტი, რომელმაც დაიმკვიდრა ადგილი მრავალი შემოქმედებითი კოლექტივის რეპერტუარში. იგი არაერთხელ გამოცემულა ჩვენთან, შეხრუდებულა ბელგიაში, ბრაზილიაში, უნგრეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, სხვა ქვეყნებში. საავტორო კონცერტზე ამ შესანიშნავი ნაწარმოების ინტერპრეტატორად ორკესტრთან ერთად გამოვიდა ანდრია ბალანჩივაძის ვაჟი — კომპოზიტორი და პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე.

კონცერტზე აგრეთვე შესრულდა სიმფონიური სურათი „ზღვა“.

შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ კომპოზიტორს, რომელსაც მშობელმა ხალხმა „ქართული მუსიკის სანდიხ-ნამუსი“ უწოდა. სამოც წელზე მეტია ემსახურება კომპოზიტორი მშობლიურ მუსიკას, ამ ხნის მანძილზე შექმნა სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები. ისინი აღბეჭდილია ახალგაზრდული გზნებით, სავსეა სიკეთითა და სინათლით. და ეს განპირობებულია უწინარესად იმით, რომ ანდრია ბალანჩივაძის მუსიკის ძირი მშობლიური ფოლკლორის სიბრძნეშია, რომელიც ახლებურად ნივთდება მის ნაწარმოებებში.

ქართული თანამედროვე მუსიკის პატრიარქის, ეროვნული ბალეტისა და სიმფონიზმის ფუძემდებლის, ნიჭიერ მუსიკოსთა არაერთი თაობის აღმზრდელის საავტორო კონცერტი თბილისის მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. (საქინფორმი).

ენერგეტიკა: პროგრამები, პერსპექტივები

ენერგეტიკა საზოგადოებრივი წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი. მისი განვითარება წინ უნდა უსწრებდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას.

დღეისათვის ელექტროენერგიის მიღება ძირითადად ტრადიციული ტიპის ელექტროსადგურების საშუალებით ხდება. ასეფრი თბოელექტროსადგური, ჰიდროელექტროსადგური და ატომური ელექტროსადგური. ადგმება ნაბიჯები ე. წ. არატრადიციულ, მუდმივად განახლებადი ენერგეტიკული რესურსების (მზის, ქარის, გეოთერმული, ზღვის მიმოქცევის ტალღების და სხვა) ათვისების გზაზე. როგორც ცნობილია დღეისათვის ელექტროენერგიის ძირითად ნაწილს თბოელექტროსადგურები გამოიმუშავებენ. ისინი სათბობზე — ნახშირზე, მაზუთსა და ბუნებრივ აირზე მუშაობენ. მილიონი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგური წელიწადში საშუალოდ 2,3 მილიონ ტონა ნახშირს ან 1,57 მილიონ ტონა მაზუთს ან 1,9 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიხმარს (მაზუთზე მომუშავე თბილისის სარაიონო ელექტროსადგურს სიმძლავრე 1,25 მილიონი კილოვატია). თბოელექტროსადგურის ურთიერთქმედება გარემოსთან ენერგიის გარდაქმნის ყველა სტადიაზე ხდება — სათბობის წვისას, თბური ენერგიის ჯერ მექანიკურ, ხოლო შემდეგ ელექტრულ ენერგიად გარდაქმნისას, და მოქმედებს ბიოსფეროს ყველა კომპონენტზე — ატმოსფეროზე, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროზე.

ატმოსფეროს განსაკუთრებით აბუნძურებენ მდარე ხარისხის ნახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები.

ატომური ელექტროსადგურების გარემოსთან ურთიერთქმედება სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იძენს, ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში ატომური ელექტროსადგური გაცილებით ნაკლებად აბინძურებს ატმოსფეროს, ვიდრე ორგანულ სათბობზე მომუშავე თბოელექტროსადგური, მაგრამ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ატომური ელექტროსადგურის ავარია, რის შედეგადაც შეიძლება მოხდეს რადიოაქტიური ნივთიერებების გამოფრქვევა. დაუშვებელია ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა გაზრდილი სეისმურობის რეგიონებში (სწორედ ასეთს მიეკუთვნება ჩვენი რესპუბლიკა).

გარემოზე ატომური ელექტროსადგურის ზემოქმედების მნიშვნელოვანი წყაროა იმ რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავებაც, რომლებიც წარმოიქმნება არა მხოლოდ სადგურის მუშაობისას, არამედ სათბობის მოპოვებისა და მისი დამუშავების სხვადასხვა საფეხურზეც. საშიშია დასნაგებული ბოლყობილობა, მისი დემონტაჟი და დამარხვაც კი.

ჰიდროენერგეტიკას თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის განვითარებაში. ჰიდროელექტროსადგურები გავლენას ახდენს გარემო ბუნებაზე როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის პერიოდში. კერძოდ, ჰიდროელექტროსადგურების დიდი წყალსაცავების შექმნა დაკავშირებულია დასახლებული ტერიტორიის, ტყეებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვასთან, ტემპერატურის, ტენიანობისა და ტემპერატურული რეჟიმის ლოკალურ ცვლილებასთან, წყალსაცავებში მყარი ნატანის შეკავებასთან, გარკვეულ გეოლოგიურ პირობებში მიწისძვრის პროვოცირებასთან და სხვა, ხოლო, ბოლო ხნის გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ მზის, ქარის, მიმოქცევისა და გეოთერმული ელექტროსადგურები ეკოლოგიურად არც ისეთი სუფთაა, როგორც აქამდე გვგონია. ამ ისინი შესამჩნევ ზიანს აყენებენ გარემოს. ამ და სხვა მიზეზების გამო არატრადიციული განახლებადი ენერგორესურსების ათვისების ეფექტიანობა მცირეა და 2000 წლისათვის სსრ კავშირის ელექტრობალანსში მისი ხვედრითი წილი 3 პროცენტს არ გადააჭარბებს. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ რაიონებში ენერგიის აღნიშნულია წყაროებმა შეიძლება გარკვეული როლი შეასრულოს სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

როგორ ხდება დღეს ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა? როგორ გვესახება ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები?

საქართველოს ელექტროენერგია სჭირდება და მომავალში კიდევ უფრო მეტი დასჭირდება რესპუბლიკის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის პირობებში. ჩვენს სახალხო მეურნეობას დიდად აკლია ელექტროენერგია, დაახლოებით 4-4,5 მილიარდი კილოვატსაათი წელიწადში, რაც რესპუბლიკაში წარმოებული ელექტროენერგიის 25 პროცენტზე ცოტა მეტია. საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებით ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. ეს მაჩვენებელი სსრ კავშირში საშუალოდ შეადგენს 5200 კილოვატსაათს, ხოლო, საქართველოში — 2900 კილოვატსაათს.

გასულ წლებში ელექტროენერგიის აღნიშნული დეფიციტი იფარებოდა მეზობელი რესპუბლიკებიდან. მომავალში კი სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ასეთი დახმარების იმედი აღარ უნდა გვქონდეს, ჩვენს თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ.

თანამედროვე ეტაპზე უარი ვთქვით ატომურ ელექტროსადგურებზე, რაც, ალბათ, ერთადერთი სწორი და გონივრული გადაწყვეტილებაა, მაგრამ თბოენერგეტიკული რესურსები ჩვენ არა გვაქვს. სათბობის ადგილობრივი მოპოვება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა მხოლოდ 10-15 პროცენტს აკმაყოფილებს. საჭირო სათბობის უმეტესი ნაწილი (11 მილიონ ტონაზე მეტი პირობითი საწვავი) შემოგვაქვს საბჭოთა კავშირის შორეული რაიონებიდან, რაც რესპუბლიკას საკმაოდ ძვირად უჯდება და უნდა ვიფარაფოთ, რომ მომავალში კიდევ უფრო გაძვირდება, ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი სადგურების აგებისას დიდად ჭუჭყიანდება ატმოსფერო.

არატრადიციული განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების იმედით ვერ ვიქნებით. მათმა ხვედრითმა წილმა ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბალანსში საუკეთესს ბოლოსათვის შეიძლება უკეთეს შემთხვევაში 0,1-0,2 პროცენტს მიაღწიოს.

მაშ, რა ვქნათ? გვრჩება ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რომლითაც საქართველო ერთი-ერთი მდიდარი რესპუბლიკაა და სპეციალისტების მიახლოებითი გაანგარიშებით მისი პრაქტიკულად გამოყენებისათვის ვარგისი პოტენციალი 80 მილიარდ კილოვატსაათს შეადგენს. აქედან მხოლოდ 12 პროცენტია ათვისებული, აშშ-ში, იტალიაში, შვეიცარიაში და საფრანგეთში კი ეს ციფრი შესაბამისად 45, 70, 80 და 90-ის ტოლია. საყურადღებოა ისიც, რომ მაგენერირებელ სამძლავრეთა სტრუქტურა ცალკეულ ქვეყნებში სხვადასხვაა და დამოკიდებულია იმ ენერგეტიკული რესურსების რაოდენობაზე, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანის განაჩნია. ცხადია, ამ დროს მხედველობაშია მიღებული მათი ეკონომიურობა, გარემოს დაცვის პირობები და სხვა. მაგალითად, კანადის, ნორვეგიის, ავსტრიისა და შვეიცარიის ელექტროენერგეტიკა ძირითადად ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას ემყარება. ასე, რომ, ჩვენმა რესპუბლიკამ პერსპექტივაში შეიძლება მაგენერირებელ სამძლავრეთა სტრუქტურის განვითარების გენერალური სტრატეგია ჰიდროენერგეტიკას დაუკავშროს. ზედმეტი ენერგია კი შეიძლება ვალუტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო გახდეს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჰიდროენერგეტიკა თბო და ატომურ ენერგეტიკასთან შედარებით ენერგიის შუდმივადგანახლებადი წყაროა და დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს (0,96). ამასთან თბოელექტროსადგურის შესაქმნელად დახარჯულ ყოველ მანეთზე საჭირო დაბანდებით თითქმის სამი მანეთის დაბანდებაა სათბობ-სატრანსპორტო კომპლექსის მუშაობისათვის. ამის გამო, რომ ჰიდროელექტროსადგურებს ზემოთაც გვქონდა საუბარი, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ელექტროენერგიის წარმოების სხვადასხვა სახეობებს შორის ჰიდროენერგეტიკა ეკოლოგიურად ყველაზე უფრო სუფთაა. ჰიდროელექტროსადგურები არ გამოჰყოფენ გარემოში მავნე ნივთიერებებს და არ მოიხმარენ ატმოსფერულ ჟანგბადს.

ჭესების წყალსაცავებს დღეისათვის ენერგეტიკულ დანიშნულებასთან ერთად ეკისრებათ სხვა ისეთი მსგავი სახალხო-სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაც, როგორიცაა: სამეეფველო და სამოქალაქო ობიექტების წყალმომარაგება, სარწყავი მიწათმოქმედება, კეტასტროფული წყალდიდობებისაგან მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვა, სათევზემეურნეობის შექმნა, რეკრეაციის ზონების, დასვენებისა და სპორტული კომპლექსების მოწყობა და სხვა. ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დიდი მოცულობის წყალსაცავებიანი ჰიდროელექტროსადგურების უპირატესობა უდავოა, მაგრამ რა ვუყოთ ასეთი სადგურების მშენებლობასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ ნეგატიურ ფაქტორებს?

რესპუბლიკის ნაყოფიერი მიწების შესანარჩუნებლად ჩვენმა სპეციალისტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მცირე წყალსაცავების შექმნა 2-20 კვადრატული კილომეტრი ზედაპირებით მდინარის ზედა უბნებში, ვიწრო ხეობებში (ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის წყალსაცავის ფართობი პროექტით 5,2 კვადრატული კილომეტრია). აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დიდი წყალსაცავების მშენებლობით გამოწვეული ზარალი, დასახლებული მოსახლეობის რაოდენობა და სხვა უარყოფითი ეკოლოგიური ცვლილებები მნიშვნელოვნად მცირდება ჰიდროელექტროსადგურის უფრო მცირე საფეხურებად (კასკადად) დაყოფისას. ამ დროს კასკადის ენერგეტიკული მაჩვენებლები თითქმის იგივე რჩება, დატბორილი ტერიტორიის ფართობი კი შიდლება მნიშვნელოვნად (ორჯერ და მეტად) შემცირდეს. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში წყალსაცავებით დატბორილი ფართობი შეადგენს მთელი ტერიტორიის 0,5, ხოლო საქართველოში — 0,22 პროცენტს.

ხშირად მიუთითებენ მიკროკლიმატის, ფლორისა და ფაუნის ცვლილებაზე წყალსაცავების მახლობლად. მართალია, დიდი წყალსაცავების 1,0-1,5 კილომეტრის სიგანის სანაპირო ზოლზე მიკროკლიმატი იცვლება, მაგრამ მცირე წყალსაცავები (სწორედ ასეთი წყალსაცავების შექნილობაა მიზანშეწონილი ჩვენს რესპუბლიკაში) გარემოს ტენიანობისა და ტემპერატურული რეჟიმის მცირეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს რაიმე შესამჩნევ (მით უმეტეს არსებით) ცვლილებებს ვერ გამოიწვევს. უნდა თქვას, რომ ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში თითქმის არ არსებობს, ისეთი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც შეუძლებელი იყოს.

ბოლო ხანს პრესის ფურცლებზე, ტელევიზიით ხშირად გამოითქმის აზრი მცირე, მიკრო და მინი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, როგორც რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგებაში დეფიციტის დაფარვის საშუალებაზე. მიგვაჩნია, რომ ასეთი ჰიდროსადგურები უნდა აშენდეს, სადაც ეს შესაძლებელია, უმთავრესად ლოკალური, სასოფლო ადგილების ელექტროენერგიით მომარაგებისათვის, მაგრამ მათი საშუალებით საუკეთესო შემთხვევაშიც კი (მცირე მდინარეთა პოტენციალი მაქსიმალურადაც რომ ავითვისოთ) რესპუბლიკის ენერგოსისტემაში ამჟამად არსებული და მომავალში მოსალოდნელი დეფიციტის დაფარვა შეუძლებელია, რადგანაც ასეთი ჰიდროელექტროსადგურების, ენერგიარ არის „ტოლფასი“ მარეგულირებელი წყალსაცავების მქონე სადგურების ასეთივე რაოდენობით გამომუშავებული ენერგიისა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, საჭიროდ მიგვაჩნია შემუშავდეს საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების ფართო პროგრამა, რაც რესპუბლიკაში არსებულ დეფიციტს აღმოფხვრის. ამასთან, აღნიშნული რესურსების ათვისებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰიდროელექტროსადგურებს, მშენებლობასა და საიმედოდ ამუშავებას.

არკადი პაპაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრავლიკისა და ჰიდრომანქანების კათედრის გამგე, პროფესორი.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ფონდში.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით, 19 სექტემბერს გაიმართა მისი წევრების შეხვედრა საქართველოს მომავალი პარლამენტის ოქტომბრის არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობისა და სამართალდამცავი ორგანოების, საქართველოს უზენაესი სახბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელები.

შეხვედრის გახსნისას საქართველოს უზენაესი სახბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გივი გუმბარიძემ უალრესად დაძაბული უწოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც რესპუბლიკაში შეიქმნა არჩევნების წინ. ხაზგასმით აღინიშნა: საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ იმისთვის, რომ რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებს, რომელიც პირველად ეწყობა მრავალპარტიულ საფუძველზე, შეექმნას ნორმალური, ცივილიზებული სახელმწიფოს შესაფერისი პირობები.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი დღეების მანძილზე თბილისში მოეწყო აქციები, რომლებიც სიტუაციის მკვეთრი დესტაბილიზაციის საფრთხეს გვიქადის. ამ აქციებზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თბილისის საქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა რომან გაბუნაძემ, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ტარიელ ლორთქიფანიძემ, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ და საქართველოს სსრ პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს უზენაესი სახბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, რომლებმაც თქვეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო კამპანიის წარმართვას წესნარ, მშვიდობიან ვითარებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სრულიად საქართველოს უზენაესი სახბჭოს სესიების საკეთილდღეოდ უარი უნდა ვთქვათ კონფრონტაციის ყოველგვარ მიუღებელ ფორმებზე, რესპუბლიკაში დაძაბულობის გაძაფრების ცდებზე. მხოლოდ ჯანსაღი ატმოსფერო, კონსტრუქციული დიალოგი „შეგვაძლებინებს უზრუნველვყოთ ხალხის ნების თავისუფალი გამოთქმა, ავირჩიოთ ჭეშმარიტად დემოკრატიული პარლამენტი.

შეხვედრაზე გადაწყდა, უმოკლეს ვადაში მიიღონ ერთობლივი ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ არჩევნების მონაწილე ყოველი პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ვალდებულებას კისრულობენ ყველაფერი იღონონ არჩევნების ნორმალურ პირობებში მოწყობის უზრუნველსაყოფად.

ამ დოკუმენტის შესამუშავებლად შეიქმნა სარედაქციო კომისია, რომელშიც შედიან საქართველოს უზენაესი სახბჭოს პრეზიდიუმის წევრები და არჩევნების მონაწილე პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

(საქინფორმი).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

17 სექტემბერს გამართული საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა დაიწყო ინფორმაციით, რომელიც გააკეთა მისმა წევრმა მანანა ქურდაძემ. წარმოადგენდა რა კომისიაში რესპუბლიკის სამართალდაცვითს ორგანოებს, მან თქვა, რომ საქართველოს სსრ პროკურატურამ პროტესტი გაუგზავნა საქართველოს სსრ „უზენაეს სასამართლოს ექვსიდან იმ ოთხი პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის გამო, რომელთა მიმართ უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობისათვის მათი დაშვების შესახებ. ესენია საქართველოს შრომის პარტია, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტია, საქართველოს აგრარული „კავშირი და საქართველოს „პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“, რომელთა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილება სასამართლომ ერთხელ კიდევ უნდა გადასინჯოს.

შემდეგ ცენტრალური საარჩევნო „კომისია შეუდგა საოლქო საარჩევნო კომისიათა ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. აღინიშნა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ამ მნიშვნელოვან ეტაპს ყველგან სათანადო პასუხისმგებლობით როდი მიუდგნენ. ზოგიერთი პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის მოუქნელობამ, რომლებსაც არჩევნების შესახებ ახალი კანონის თანახმად დროულად უნდა დაესახელებინათ თავიანთი წარმომადგენლები საოლქო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობებში, ამისადმი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუსტმა კონტროლმა აიძულა ცენტრალური საარჩევნო კომისია მიემართა საგანგებო ზომებისათვის. მიელ რიგ საოლქო საარჩევნო კომისიებში კანონით დადგენილ უკანასკნელ მომენტამდე გაჭიანურდა მათი თავმჯდომარეებისა და მდივნების არჩევისადმი მიძღვნილი სხდომების მოწყობა, რამაც, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო კამპანიის შემდგომი ეტაპისათვის გეგმაზომიერ მზადებაზე.

კომისიამ საარჩევნო კამპანიის ყველა ორგანიზატორსა და მონაწილეს მოსთხოვა გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები, რათა მომავალში დაბრკოლება არ შეექმნას მის ნორმალურ მიმდინარეობას.

კომისიის სხდომის დროს მის წევრებს, რომლებიც არჩევნების მონაწილე პარტიებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ, საქმიანი წინადადებით მიმართეს ახლახან თბილისში შექმნილი მცირე საწარმოს „მარიხის“ ხელმძღვანელებმა. სპონსორების დახმარებითა და მხარდაჭერით მათ იკისრეს კითილშობილური მისია უსაყიდლოდ, უალრესად შემჭიდროებულ ვადებში მოამზადონ და მასობრივი ტირაჟით გამოუშვან ბროშურები არჩევნების მონაწილე ყველა პარტიისა და ორგანიზაციის შესახებ. ერთადერთი, რაც ქველმოქმედებმა ითხოვეს, ის არის, რომ დროზე მისცენ შესაბამისი მასალები ამ ბროშურებისათვის, რომლებიც გააშუქებენ პარტიის ისტორიას, მის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს, სტრუქტურასა და ლიდერებს, აგრეთვე წესდება და პროგრამა, წინასაარჩევნო პლატფორმა, ფოტო და სხვა ეიზუალური მასალები. აღსანიშნავია, რომ თითოეული ბროშურა, იმის მიუხედავად, თუ რომელ პარტიას მიეძღვნება იგი, გამომცემლებმა ჩაიფიქრეს როგორც ერთმანეთის ანსოლუტურად იდენტური, ფორმებითაც, მოცულობითაც, გაფორმებითაც ერთნაირი.

„მარიხის“ წინადადება კმაყოფილებით აღიქვეს როგორც პარტიებმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ისე მთლიანად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

სხდომაზე განიხილეს წინასაარჩევნო კამპანიის მოწყობასთან, მისი მორიგი ეტაპების მომზადებასთან და ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

(საქინფორმი).

სოფელი: პროგრამები

მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციისა გამოწვეული პრობლემები ყოველთვის აწუხებდა სამცხეს (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონები). მცირეიზოლიანობა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი აქაური მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციისაც. ეს ფაქტორი უმეტესობაში თითქმის ადარაა საშუალება სამოსახლოდ მიწების გამოყოფისა, ვინაიდან ერთ-ერთ მცირე სახნავ-სათესი სავარგულები აქვთ შემორჩენილი.

ასეთ ვითარებაში ასპინძის რაიონში და ისიც ხერთვისი-თმოგვარძიის ხეობაში სხვა. რაიონებიდან ჭარბი მოსახლეობის ჩამოსახლება როდია მომავლისათვის მოლად სრულყოფილად მოფიქრებული ღონისძიება, რაც უკვე გამოჩნდა იმითაც, რომ დღეს, როდესაც რეალურად დაისვა ამ ხეობაში მდებარე 130-კომლიანი დამეწყრილი სოფლის — ნაქალაქევის საშიში ზონიდან გადასახლების საკითხი, მთელი ხეობის შემოგარენში მათი დასახლებელი ხეირიანი ადგილი უკვე აღარ სადა. განა მაშინ, როდესაც, ამ ხეობას ვასახლებდით სხვა რაიონებიდან წამოსული ნაჭარბი მოსახლეობით, ამ ხეობის ძირძველი სოფლების მცხოვრებლები და თვითონ ნაქალაქეველები არ ითხოვდნენ კომლების გაყოფას და სამოსახლოებს? და განა ცოტა ახალგაზრდა გადავიდა აქედან სხვაგან საცხოვრებლად მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არ მისცეს სამოსახლო?

მცირემიწიანობამ რთული პრობლემის წინაშე დააყენა ადიგენის რაიონის უძველესი სოფლის — უდის მოსახლეობაც. აქ მცხოვრები 1500-მდე კომლიდან 380 დამეწყრილ ზონაშია და აუცილებლად უნდა იქნენ გასახლებული უსაფრთხო ადგილებში, რისი საშუალებაც ადგილზე არ არსებობს. დაახლოებით 1500-მე მცხოვრებმა უნდა' დატოვოს მამა-პაპათა ადგილსამყოფელი და დასახლდნენ სხვა ადგილებში.

რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით და სახალხო ფრონტის „საქქაღალდმრეწვის“ მუშაკებმა უპირველესად სოფლის კეთილმოწყობაზე იზრუნეს. ერთ წელიწადში ააშენეს თანამედროვე ტიპის საშუალო სკოლა 250 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაღი 60 აღსაზრდელისათვის. დაიგო ასფალტ 8 კილომეტრზე, ამავამად ადმინისტრაციული კომპლექსი შენდება, მასში შედის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ყველა სახის მომსახურებისათვის. იგი სიექსპლუატაციოდ გადაეცემა 1991 წლის ბოლოს. 7 კილომეტრზე დასასრულს უახლოვდება სასოფლო გზების მოსაფალტების სამუშაოები. სოფელმა იჩრნო ძლიერი ხელი, დაინახა სიტყვისა და საქმის ერთიანობა, რწმენა ჩაესახა, საქმისაკენ გული მოუბრუნდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქაური გლეხკაცის ძირითადი საქმე მესაქონლეობა იყო, ყველას დიდძალი პირუტყვი ჰყავდა. დრომ და გლეხკაცისადმი დესპოტურმა დამოკიდებულებამ, უსაფუძვლო დადგენილებებმა უხეროფითი გავლენა იქონია. გაუნელდა კაცს პირუტყვისადმი სიყვარული, თავი გაანება მის მოვლას.

მეურნეობაში თანამიმდევრულად ხორციელდება არენდაზე გადასვლა. მრავალწლიანი ნარგავები, კერძოდ, ჩაის მოსავლიანი და ახალგაზრდა პლანტაციები ცალკეულ ინდივიდებს გადაეცა, ამ წესით მუშავდება სამარცვლე სიმინდის ფართობები, უახლოეს პერიოდში განხორციელდება მეღორეობისა და სასათბურე მეურნეობის არენდატორებზე გადაცემა.

სოფელმა უნდა გამოკვეთოს ქალაქი, სიკეთეს კი სიკეთითვე უნდა პასუხი. 1989 წელს „საქქაღალდმრეწვის“ მუშა-მოსამსახურეებში 1340 ცენტნერი ბოსტნეული იქნა რეალიზებული, მიმდინარე წლისათვის ეს ციფრი 2400 ცენტნერს მიაღწევს. მეღორეობის მძლავრი კომპლექსის ექსპლოატაციაში შესვლა კი იმის გარანტიას იძლევა, რომ გაერთიანების მშრომელებს ყოველწლიურად 800 ცენტნერი ღორის ხორცი მიეწოდოთ. ყოველ 500 სული კამეჩი, მათ შორის ფური — 150. ფურების რაოდენობას 300 სულამდე აყვანენ, რაც გაერთიანების მშრომელებს უზრუნველყოფს რძითა და რძის ნაწარმით.

გაიოზ გუჯია,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲥᲛᲜᲘᲓᲔᲗ

ᲛᲘᲪᲘᲠᲔᲛᲘᲬᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ გამოწვეული პრობლემები ყოველთვის აწუხებდა სამცხეს (ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონები). მცირეიზოლიანობა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი აქაური მკვიდრი მოსახლეობის მიგრაციისაც. ეს ფაქტორი უმეტესობაში თითქმის ადარაა საშუალება სამოსახლოდ მიწების გამოყოფისა, ვინაიდან ერთ-ერთ მცირე სახნავ-სათესი სავარგულები აქვთ შემორჩენილი.

ასეთ ვითარებაში ასპინძის რაიონში და ისიც ხერთვისი-თმოგვარძიის ხეობაში სხვა. რაიონებიდან ჭარბი მოსახლეობის ჩამოსახლება როდია მომავლისათვის მოლად სრულყოფილად მოფიქრებული ღონისძიება, რაც უკვე გამოჩნდა იმითაც, რომ დღეს, როდესაც რეალურად დაისვა ამ ხეობაში მდებარე 130-კომლიანი დამეწყრილი სოფლის — ნაქალაქევის საშიში ზონიდან გადასახლების საკითხი, მთელი ხეობის შემოგარენში მათი დასახლებელი ხეირიანი ადგილი უკვე აღარ სადა. განა მაშინ, როდესაც, ამ ხეობას ვასახლებდით სხვა რაიონებიდან წამოსული ნაჭარბი მოსახლეობით, ამ ხეობის ძირძველი სოფლების მცხოვრებლები და თვითონ ნაქალაქეველები არ ითხოვდნენ კომლების გაყოფას და სამოსახლოებს? და განა ცოტა ახალგაზრდა გადავიდა აქედან სხვაგან საცხოვრებლად მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არ მისცეს სამოსახლო?

მცირემიწიანობამ რთული პრობლემის წინაშე დააყენა ადიგენის რაიონის უძველესი სოფლის — უდის მოსახლეობაც. აქ მცხოვრები 1500-მდე კომლიდან 380 დამეწყრილ ზონაშია და აუცილებლად უნდა იქნენ გასახლებული უსაფრთხო ადგილებში, რისი საშუალებაც ადგილზე არ არსებობს. დაახლოებით 1500-მე მცხოვრებმა უნდა' დატოვოს მამა-პაპათა ადგილსამყოფელი და დასახლდნენ სხვა ადგილებში.

რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით და სახალხო ფრონტის „საქქაღალდმრეწვის“ მუშაკებმა უპირველესად სოფლის კეთილმოწყობაზე იზრუნეს. ერთ წელიწადში ააშენეს თანამედროვე ტიპის საშუალო სკოლა 250 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაღი 60 აღსაზრდელისათვის. დაიგო ასფალტ 8 კილომეტრზე, ამავამად ადმინისტრაციული კომპლექსი შენდება, მასში შედის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ყველა სახის მომსახურებ

თვალსაზრისი

ვაზი მარჩენალი

საქართველოს ისტორიაში — წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში ვაზს გადამწყვეტი, მარჩენალის ფუნქცია აკისრია. როდესაც ასეთ კულტურასთან გვაქვს საქმე, მისადმი დამოკიდებულებაც გამორჩეული უნდა იყოს. „ვაზო შვილივით ნაზარდოო“... იტყოდა ქართველი, უვლიდა მას როგორც შვილს, თავს ეალერსებოდა და პასუხიც სათანადო იყო — დოვლათი და ბარაქა არ ილეოდა ქართველი მეურნის ოჯახში, ათმაგად უხდიდა ვაზი ამაგს თავის გამზრდელს, მომვლელს და მოამაგეს — ქართველ გლეხკაცს.

ვაზის სიმბოლოდ ბევრი ისტორიკოსი საქართველოს მიიჩნევს. ერთ-ერთი პირველთაგანნი ვართ, მისი ღვინიური პროდუქტის დამზადებაში მაღალ ხელოვნებას რომ მივაღწიეთ — შეეკმენით სახელგათქმული ქართული ღვინოები. თუმცა ქართველი პირველმოსახლე ჯერ ვაზს ჩაყრიდა და შემდეგ კერა-სამყოფლის აშენებას შეუდგებოდა. ვაზი იყო ქართული სოფლის საფუძველი, სიამაყე და ეკონომიკური სიმდიდრე, რომლის კარგი მომარჯვებით ქართველი კაცი ყოველ გაჭირვებას სძლევდა, ცხოვრებას ყალაპოტში აყენებდა. ვაზი არამარტო ეკონომიკური საფუძველი იყო საქართველოსათვის, არამედ სათაყვანებელი სიმბოლოც. ამიტომაც იყო, რომ ქართველთა განმანათლებელი, ქრისტიანობის პირველშემომტანი საქართველოში, წმინდა ნინო, ვაზის ჯვრით ხელში ქადაგებდა ორისტეს მოძღვრებას.

ასეთ კულტურას კი დღეისათვის საქართველოში, სავალალოდ, უდარეად ეპყრობიან, აღარ არის ვაზის ისეთი მოვლა-პატრონობა, დამუშავება, როგორიც მას შეჰფერის. ყურძნის ფასიც საკმაოდ დაბალი იყო. არც კახეთში, ქართლსა თუ იმერეთში ვენახი ისეთი მოვლილ-ნაპატრონები არ არის, როგორც მას ეკადრება და ქართველ გლეხკაცს შეშვენის.

ვაზის მოვლა-პატრონობას ნორმალური ეკონომიკური საფუძველი უნდა შეექმნას. ამის იმედს ყურძნის ფასის მომატება გვაძლევს. ფასწარმოება ჩვენსავე რესპუბლიკაში უნდა ხდებოდეს, რათა გლეხს სათანადო ანაზღაურება მიეცეს ყურძნის მოყვანისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ვაზის ჯიშები ყოველთვის იძლევიან ულამაზეს ღვინოებს, რომლებიც თავისი ხარისხით ფრანგულს არაფრით ჩამორჩებოდნენ.

ამ ეტაპზე საჭიროა მკვეთრად შემოვაბრაწუნოთ ეკონომიკური ბერკეტი ქართველი გლეხის, ქართული ვაზის სასარგებლოდ. ჩვენს ზერეს კარგი აგრონომიული მოვლა-პატრონობა სჭირდება, უნდა გვყავდეს მაღალკვალიფიციური, ფართო ერუდიციის სწავლული აგრონომები.

საქართველოში ძირითადად ხარისხოვანი ვაზის ჯიშები და კარგი ღირსების ღვინოების მომცემი რეგიონები გვაქვს, რასაც სათანადოდ ვერ ვიყენებთ ვერც მეღვინეობაში და ვერც კონიაკის წარმოებაში. ჩვენ საერო ღვინოების დამზადების ბაზა თითქმის არ გაგვაჩნია, მაღალი ხარისხის ღვინოები და საკონიაკე მასალისათვის ვარგისი წედლეული კი გვაქვს, მაგრამ ამ სიმდიდრეს უანგარიშოდ ვფლანგავთ!

საფრანგეთი მსოფლიოში ღვინისა და კონიაკის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა, მაგრამ ხარისხოვანი საერო ღვინოების მასალა ალჟირიდან, მაროკოდან, ტუნისიდან, იტალიიდან და ესპანეთიდან შემოაქვს. ეს ეკონომიკურად გამართლებული და მომგებიანია. მაღალი ხარისხის სამარკო ღვინო საფრანგეთისა და მსოფლიო ბაზარზე თითქმის 10-20-ჯერ უფრო ძვირი ღირს. თუ ჩვენთან ვერ მოგვისაზრება, საფრანგეთის მაგალითის მიხედვით მაინც დავაყენოთ მხოლოდ მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოები და ასევე მთელი ჩვენი საშუალებები მივმართოთ სამარკო კონიაკების საწარმოებლად. ამის შესაძლებლობას იძლევა ჩვენი ვაზის ჯიშების ფონდი და ფართობები.

ვაზი მარჩენალი

ჩვენი ღვინის წარმოება ძირითადად რქაწითელზე მოდის. ეს ჯიში უნიკალურია და ცოდვაა, იგი საერო და თანაც უხვიროდ დამუშავებული ღვინოების წარმოებისათვის მოვაცდინოთ. ასევე ითქმის საკონიაკე სპირტად გამოსახდელ ღვინომასალაზეც ვაზის მოვლისა არ იყოს, აკლია მზრუნველი ხელი ჩვენს მეღვინეობას. დღეისათვის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მეღვინე-ტექნოლოგი სანთლით საძებარი გახდა. თითოეოროლა სპეციალისტი კი ვერც ერთ დარგში ამინდს ვერ შეემნის. აღარ ანიან ისეთი რანგის მეღვინე-სპეციალისტები, როგორიც იყვნენ ვ. კანდელაკი, ვ. ციციშვილი, გ. მგალობლიშვილი, გ. კანდელაკი და სხვანი, რომლებიც ჩამოყალიბებული მარკის ღვინის სახელს და ღირსებას ათეულ წლობით ინახავდნენ და ხშირად არ ცვლიდნენ ღვინის მარკას — ღვინის სახეობას. მარკას მომზმარებელი ეჩვევა, შეითვისებს და შეიყვარებს. გარკვეული გემოვნება უვითარდება, ე. ი. მომზმარებელი იზრდება, გემოვნება ეხვწეება და მისი, ამ მარკის ერთგული რჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში — რჩება მისი ერთგული მუშტარი! დღეისათვის კი მომზმარებლის გემოვნება ისევე მერყეევა, როგორც ჩვენი ღვინის მარკები, და ისევე ცვლადია, როგორც ჩვენი მეღვინეობის პროდუქციაა. ერთი და იგივე მარკის ღვინო წლების მიხედვით მთლად იდენტური რომ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ძირითადი მახასიათებელი — ჯიშობრივი შემადგენლობა, მოყვანის ადგილი, არომატი, ბუკეტი, ფერი და სხვა მახასიათებელი წლიდან წლამდე თითქმის არ უნდა იცვლებოდეს.

ამჟამად კი რა ხდება? ჩვენმა ღვინოებმა საერთაშორისო თუ შიდა ბაზარზე თავისი სახელი და დიდება დათმეს მრავალ მიზეზთა გამო:

ალარ გვყავს პროფესიონალი მეღვინეები, თავისი დარგის ფართოდ განსწავლული პატრიოტები, აქედან დასკვნა, რომ. ისინი საქართველოს პატრიოტებიც არ არიან, მასზე გული არ მესტკივათ, მის მომავალზე არ ფიქრობენ!

ღვინო კეთილშობილი, ბუნებრივი პროდუქტია და მისი დაყენების ტექნოლოგია ასევე ბუნებრივი, დახვეწილი და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული უნდა იყოს ყველა იმ ოპერაციებით, რომლებიც უთუოდ უნდა მომარაგდეს სათანადო გამშმენდ-გამწეველი და სამანიპულაციო აპარატურით. ამჟამად კი ნაკლებად იყენებენ საუკეთესო თევზის წებოს, ხარისხიანი ღვინოების დამზადებას, მათ შორეული სტანდარტების დონეზე აყვანას თანამედროვე აღჭურვილობა ჭირდება და მეღვინე-სპეციალისტის თბილი გული, ნათელი გონება და რაც მთავერია — საქართველოს სიყვარული!

სამარკო ღვინოების გადიდებას შეიძლება მოჰყვეს საერო ღვინოების ნაკლებობა, რამაც არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენშიც არის ზოგიერთი რეგიონი, სადაც მხოლოდ საერო ღვინოები უნდა ვაწარმოოთ და არ მოვიერიდოთ იაფი ღვინოების შემოზიდვას, როგორც ფრანგები აკეთებენ. ფასები სამარკო ღვინოებზე ე. წ. ფასწარმოება ჩვენთანვე, რესპუბლიკაშივე უნდა ხდებოდეს. რადგან ყველაფრის ერთ ტაფაში მოქცევამ დღევანდელ კრიზისულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა! ჩვენი კარგი და სხვისი საშუალო თუ მდარე — ერთ ფასად გადის.

გადასახედია ჩვენში შამპანურის, ბუნებრივი ღვინოების, ფერადი ღვინოების, ბრენდი-ბალზამის, ბოჟოლეს, ბურგუნდიის, ბორდოს, ალბანეთის, ბულგარეთის, ესპანეთის, ბერძნეთის, ბელგიის, ინგლისის, ირლანდიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, ბელორუსიის, ბენინის, ბოლივიის, ბოსნიის, ბუენოს-აირესის, ბურკინა-ფასოს, ბურუნდის, ბუტანის, ბაჰამის, ბანგლადეშის, ბარბადოსის, ბაინდურის, ბაკინგემის, ბალეარეთის, ბალტიმორის, ბალტიკის, ბალკანეთის, ბალხაშის, ბანგუეოლის, ბანგალორის, ბანგკოკის, ბანგუის, ბანფის, ბანანის, ბანანერეს, ბანანეთის, ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანის, ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-ბანანა-

საგაზრო ეკონომიკა და პრესა

ანუ რატომ გაქვირდა გაზეთები?

ამას წინათ გაზეთი „ტრუდი“ წერდა: „უკანასკნელ წლებში ჩვენი სახელმწიფო თანამიმდევრულად თავისუფლებს თავის მორჩილებელ ერთეულებს სხვადასხვა უწესო წესებისაგან. ჯერ იყო და 1985 წლიდან საოცრად მავნებელი გაზეთებისა და ჟურნალების მიღება სპორტიანი სასმელების მიღებამ. ცოტა უფრო გვიან გაიკვა, რომ არ შეიძლება ბევრი ჭამა ფეიჯოიანი ნივთების — ავეჯის, ფანსაცმლის, მაცივრის და სხვათა შეძენა, რაც ადრე აუცილებელ მოთხოვნილებად ითვლებოდა. და ეს, ახლა ცნობილი გახდა, რომ „ბევრია თამბაქოს წევა და კიდევ... გაზეთებისა და ჟურნალების კითხვა“.

დიახ, სხვა უამრავ „სიკეთესთან“ ერთად შეიძლება სულ მალე გაზეთის კითხვასაც გადავეჩვიოთო.

წლეულს, ადრინდელთან : შედარებით, მთელი ერთი თვით დაგვიგიანა ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის გამოცხადებამ და იგი მხოლოდ 1 სექტემბერს დაიწყო. ამას როგორმე აიტანდა ჩვენი მკითხველი, და საერთოდ, ეს არ გახლავთ თავვარი სიახლე ამჟამად შიმდინარე სახელმწერო კამპანიისა. მთავარი და მეტად სავალალო, მე ვიტყოდი, ერთობ შეშაფოთებელი, ის გახლავთ, რომ მომავალი წლიდან ჟურნალ-გაზეთები ერთბაშად თითქმის სამჯერ ძვირდება(?!).

უკანასკნელი 35 წლის მანძილზე ხალხი შეეჩვია მთავრობის სიურპრიზებს და იმას, რომ ყოველწლიურად სახალხო მოხმარების ხან ერთ, ხან მეორე საგანზე ფასები ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერაც შენიღბულად თანდათანობით და ჯიუტად იზრდება, მაგრამ ის, რაც ახლა პრესის სამყაროში მოხდა, ნამდვილად არ ახსოვს ჩვენს ავტორიტეტშელახულ სამოცდაათწლიან ისტორიას. საბაზრო ეკონომიკამ, რომელიც ჯერ ფეხადგმულიც არ არის, უკვე გამოიჩინა თავისი ბასრი კლანჭები და მომავალი სასტიკი ლაშქრობა ადამიანთა სულიერი საზრდოს — პრესის შეგიწროებით დაიწყო.

ამ თემაზე პრესაში ბევრი დაიწერა, მრავალი კრიტიკული, გუნებისწყრომით აღსავსე წერილი გამოქვეყნდა და ალტერნატიული მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა, აგორებული ქვა ვერაფერმა შეაჩერა: ჟურნალ-გაზეთების ახალი კატალოგები 1991 წლისათვის ახალი, მკვეთრად გაზრდილი ფასებით, უკვე დაიბეჭდა და გამოქვეყნდა.

საერთოდ, ჟურნალებისა და გაზეთების ფასები რომ გადასახადი იყო, ეს ეჭვს არ იწვევდა. უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაძვირდა ქაღალდი, სხვა პოლიგრაფიული მასალა. გამომცემლობებს, მოქმედი პრეისკურანტით, ერთი ტონა გაზეთის ქაღალდის ფასი საწარმო გეგმაში 220 მანეთი უზრუნ. სინამდვილეში უკვე წელიწადზე მეტია მისი ფასი 300 მანეთს აღემატება. მარტო შარშან, წლის მეორე ნახევარში, ჩვენმა გამომცემლობამ გაზეთის ქაღალდში 400 ათას მანეთზე მეტი განსხვავება გადაიხადა. წლეულს, ალბათ, გაუთვალისწინებელი ხარჯი მარტო ამ საქმეში მილიონს გადააჭარბებს.

როგორც უკვე დავადგინეთ, გასცა იმავე ქაღალდის სახელმწიფო ფასი 560 მანეთი იქნება, ე. ი. ორჯერ და მეტად გაიზრდება, თუმცა მკითხველს აქვე მინდა შევახსენო, რომ საზღვარგარეთთან შედარებით ეს მაინც ბევრად ნაკლებია. მოგეხსენებათ, მსოფლიო ბაზარზე 1 ტონა გაზეთის ქაღალდი საშუალოდ 500 დოლარამდე ღირდება. ამიტომაც არის, რომ თუმცა გაზეთგზის საცალო ფასები საზღვარგარეთ ჩვენს ახალ ფასებთან შედარებითაც კი გაციცლებით მაღალია, თითქმის ყველა გაზეთი, მათ შორის დიდტირაჟიანი, ჩვეულებრივ, წამგებიანია. მოგებას იქ ძირითადად რეკლამა იძლევა.

სისტემატურად ძვირდება სხვა პოლიგრაფიული მასალებიც. ამასთან ისინი სულ უფრო დეფიციტური ხდება. ცენტრალურ გაზეთებსა და ტელევიზიაში მრავალჯერ თქმულა, რომ სულ მალე სტამბები ვერ მიიღებენ... სალებავს!

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ორი — ტორეოკის და მოსკოვის ქარხნები აწარმებენ ბოლოგრაფიულ საღებავებს. ორივე ქარხანა იყენებს 15 პროცენტამდე იმპორტულ ნედლეულს — პიგმენტებს სხვადასხვა ფერისათვის, რაც სახელმწიფოს ყოველწლიურად ოქროთა 10 მილიონი მანეთი უჯდება. ეს თანხა ამოდენა ქვეყნისათვის თითქოს დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ რადგან არც ადრინდელი ვალებია გასტუმრებული და არც ვალუტაა ხაზინაში, მომწოდებელმა, დასავლეთ გერმანიის ფირმამ „ბასფ-მა შეწყვიტა ნედლეულის გამოგზავნა. ამ დღეებში უკვე გაჩერდა რამდენიმე სახის საღებავის ტექნოლოგიური ხაზი, კერძოდ, ალარ გამოდის ლურჯი საღებავი. მოსალოდნელია, და ახლა ვატყობინებთ ჩვენს რეგიონს, ჩვეულებრივ, ფამგებიანი. მოგებას იქ ძირითადად რეკლამა იძლევა.

სისტემატურად ძვირდება სხვა პოლიგრაფიული მასალებიც. ამასთან ისინი სულ უფრო დეფიციტური ხდება. ცენტრალურ გაზეთებსა და ტელევიზიაში მრავალჯერ თქმულა, რომ სულ მალე სტამბები ვერ მიიღებენ... სალებავს!

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ორი — ტორეოკის და მოსკოვის ქარხნები აწარმებენ ბოლოგრაფიულ საღებავებს. ორივე ქარხანა იყენებს 15 პროცენტამდე იმპორტულ ნედლეულს — პიგმენტებს სხვადასხვა ფერისათვის, რაც სახელმწიფოს ყოველწლიურად ოქროთა 10 მილიონი მანეთი უჯდება. ეს თანხა ამოდენა ქვეყნისათვის თითქოს დიდი არ უნდა იყოს, მაგრამ რადგან არც ადრინდელი ვალებია გასტუმრებული და არც ვალუტაა ხაზინაში, მომწოდებელმა, დასავლეთ გერმანიის ფირმამ „ბასფ-მა შეწყვიტა ნედლეულის გამოგზავნა. ამ დღეებში უკვე გაჩერდა რამდენიმე სახის საღებავის ტექნოლოგიური ხაზი, კერძოდ, ალარ გამოდის ლურჯი საღებავი. მოსალოდნელია, და ახლა ვატყობინებთ ჩვენს რეგიონს, ჩვეულებრივ, წ

ინთერვიუ რამპის ჩირაღდნები

პასუხისმგებლობა მომავლის წინაშე

სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი დღეს, 20 სექტემბერს ახალ სეზონს ლაშა თაბუკაშვილის „ტაძრით“ იწყებს. სეზონის წინ გვესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ალექსანდრე ძანთარია.

— როგორ შეაფასებთ დღევანდელ პირობებში თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობას, როგორია თეატრის პასუხისმგებლობა დროის წინაშე?

— თეატრის სახე იმის მიხედვით უნდა შეფასდეს რა მდგომარეობაშიც უხდება მას მოღვაწეობა. დღეს თეატრს მართლაც ძალიან უჭირს, უმრავლესობას რომ ჰკითხო, ბოლოს როდის იყო თეატრში, ალბათ ვერც კი გაიხსენებს. ჩვენ არ ვემდურითო მაყურებელს, მათი მხარდაჭერა და ყურადღება გასულ სეზონში არ მოგვკლებია. იმედი მაქვს, რომ იგი არც ახლა მიგვატოვებს და მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ სამწუხაროდ, დღეს მაყურებელს თეატრი ნაკლებად სჭირდება. მე მწამს, რომ თეატრი ხალხს მომავალში უფრო დაჭირდება, მისკენ იბრუნებს პირს, ვინც არ უნდა გახდეს ლიდერი, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატმოსფერო სულიერი ცხოვრების, კულტურის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ამიტომ ამ ძნელბედობის ჟამსაც გაჩერება და პასიურობა არ უნდა დავუშვათ, მართალია თეატრის მოღვაწეთა საქმიანობა ხელოვნების სხვა დარგის წარმომადგენლებთან შედარებით უფრო რთულადაა, რადგან იგი დღევანდელობის ხელოვნებაა და თავისი სთქმელი დღესვე უნდა თქვას! არ ვიცი ამ შფოთთან წელიწადს როგორ გადაიტანს ქართული თეატრი, ჩვენ უნდა გვეყოს შემწეობა, რომ მაღლა დავდგეთ ორომტრიალზე, თუ რამდენად მოიცლის ქართველი მაყურებელი შეთხზული სამყაროსთვის, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ერთს გადაჭრით ვიტყვით — თეატრი ჩვენი პროფესიაა და ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ კეთილსინდისიერად, ენერგიის დაუზოგავად. თუნდაც სანახევროდ ცარიელ დარბაზთან გვიხდებოდეს შეხვედრა. თეატრი აუცილებლად დასჭირდება მაყურებელს და როცა მოგვაკითხავს ჩვენ უფლება არა გვაქვს, რომ მზად არ ვიყოთ, ამიტომ მუდმივად უნდა ვზრუნავდეთ პროფესიონალიზმის განმტკიცებაზე — მე ასე მესმის თეატრის პასუხისმგებლობა დროის, მომავლის წინაშე.

— ახალ სეზონში რას პირდებით მაყურებელს?

— ორიოდე დღეში პრემიერა გვექნება, მაყურებელს ვუჩვენებთ გუგა ნახუცრიშვილის „ნაცარქექიას“, რომელიც დადგა რეჟისორა ლია მირცხულავამ. მალე დავიწყებთ მუშაობას პოლიკარპე კაკაბაძის „დემეტრე მეორეზე“, რომელსაც მე დავდგამ. მონტაჟი უკვე მზადაა, ეს პიესა, რომელიც აქამდე არ დადგმულა ქართულ თეატრში, ვფიქრობ სწორედ დღესაა იგი ყველაზე აქტუალური და საჭირო. თეატრის შემოქმედებით გამოცდადაც გადაიქცევა ეს ურთულესი დრამატურგია. პარალელურად მინდა ვიმუშაო ბატონ ოთარ ჩხეიძის პიესაზე „ერთი მერცხლის ამბავი“, რომლის მოქმედება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხდება, პიესის გმირის დამოკიდებულება და დაპირისპირება გარესამყაროსთან ტკივილიანი სმამართლით გადმოსცემს ჩვენი უახლოესი წარსულის ამაზრზენ სანამდვილეს.

თეატრი აპირებს საშობაო-საახალწლო შოუს მომზადებას, რომელსაც ახალი წლის დღეებში ვუჩვენებთ მაყურებელს, სცენარი უკვე მზად აქვს და მასზე მუშაობას შეუდგება რეჟისორი ქეთი ბარშილაძე, მასვე სურს დადგას სომერსეტ მოემის კომედიის „განუყრელი ცოლის“ გადმოქართულებული ვარიანტი.

რეჟისორი ლია მირცხულავა ფიქრობს რეტროს სტილში გადაწყვიტოს სპექტაკლი, რომელსაც საფუძვლად დაედება დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილის ორი პიესა „შენსკენ სავალი გზები“ და „მაგრამ უფლება არ მოუცია“.

ერთი სიტყვით, ახალი სეზონი ჟანრული მრავალფეროვნებით იქნება გამორჩეული, რეპერტუარში გვექნება ტრაგედია, დრამაც და კომედიაც...

— ჩვენ ვიცით, რომ თქვენს თეატრს მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები აქვს თანამედროვე ქართველ მწერლებთან, რამდენიმე დრამატურგის სახელი პირველად თქვენი სცენიდან ეუწყა საზოგადოებრიობას, თქვენთან მოვიდნენ ნიჭიერი კომპოზიტორებიც, ალბათ, ამგვარი კონტაქტები გაღრმავდება...

— პერსპექტივაში გვაქვს ჩვენთან დაიდგას გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“, ოთარ ჭილაძის „ყოველთან ჩემთან მპოვნელთან“, დამწყები დრამატურგები ზურაბ სამადაშვილი და მამუკა სალუქვაძე ფიქრობენ, რომ ჩვენი თეატრისათვის კვლავ დაწერონ პიესები, კომპოზიტორები გიორგი ცინცაძე, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და ნანა გველესიანი კვლავაც ითანამშრომლებენ ჩვენთან. ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი ახლა წერს მუსიკას „დემეტრე მეორესთვის“. ჩვენ ამგვარი შემოქმედებითი თანამშრომლობის დიდი იმედი გვაქვს, მხოლოდ ასეთი სიახლითა და მრავალფეროვნებით შეიძლება იყოს თეატრი საინტერესო და მიმზიდველი, მაყურებელს უყვარს ახალი სახელების გამოჩენა თეატრში.

ესაუბრა
გიორგი ლალიაშვილი.

ძველი თბილისი. კახა ჩხატარაიშვილის ფოტო.

„მსოფლიო მემკვიდრეობა“ და საქართველოს ძეგლები

1989 წლის იანვარში ჩვენი ქვეყანა შეუერთდა იუნესკოს მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის საკითხთა კონვენციას. სხვა კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის სამდივნომ შეადგინა ქვეყნის კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა ნუსხის პროექტი. მასში უახლოეს 5-10 წელიწადში „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ შესატანად შეიდა ქვეყნის ყველა რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის 28 ყველზე თვალსაჩინო ძეგლი. მათ შორის საქართველოსაგან ქალაქ-მუზეუმი მცხეთა, მცხეთის ჯვარი (დიდი და პატარა ტაძრები) და ზემო სვანეთი.

1988 წლის იანვრისათვის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეტანილია მსოფლიოს 67 ქვეყნის კულტურისა და ბუნების 288 თვალსაჩინო ძეგლი. მათ შორის 17 ინდოეთისაგან, 16-16 ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთისაგან, 6-6 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიის, მექსიკისა და ბრაზილიისაგან.

კრიტერიუმები, რომლებითაც კომიტეტი ხელმძღვანელობს ღირებულებათა შეფასებისას, დაახლოებით ასეთია. ძეგლი უნდა იყოს ან უნიკალური მხატვრული ნაწარმოები, შემოქმედებითი გენიის შედევრი, ან გავლენას ახდენდეს ხუროთმოძღვრების, მოსუმენტური ხელოვნების, ქალაქთმშენებლობის განვითარებაზე, ან უნდა იყოს მშენებლობის თვალსაჩინო ნიმუში რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდისათვის.

გარდა ამისა, კონვენციას მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ ნუსხაში შეაქვს ანსამბლები, რომლებიც ორგანულად ერწყმიან პეიზაჟსა და წარმოადგენენ დიდ ღირებულებას, ღირსშესანიშნავი ადგილები — ადამიანის ან ადამიანისა და ბუნების ერთობლივი ქმნილებები, აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების ზონები.

სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ქართული ძეგლები შეავ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთო ნუსხაში, რადგან საკმაოდ აკმაყოფილებს კონვენციის დიდ მოთხოვნებს.

კონვენციაში შეიქმნა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომელთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის მიერ დახმარების გაწევა და რესურსების გადაცემა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც განიცდიან სახსრების ნაკლებობას. იგი აგრეთვე აწყობს მსოფლიოს უნიკალური ძეგლების გადარჩენის საერთაშორისო კამპანიებს. მაგალითად, განხორციელდა უადრესად რთული სამუშაოები ვენეციის გადასარჩენად. ალბათ, ვერც ერთი ქვეყანა, ისეთი განვითარებულიც კი, როგორიც იტალიაა, მარტოკა ვერ გაართმევდა თავს ამ ამოცანას.

მსოფლიო მემკვიდრეობის იდენტიფიკაცია — აი, კომიტეტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობა. დედამიწის მოსახლეობის უფართოესი ფენების ყურადღების მიმართვა კაცობრიობის ძეგლებისადმი შორს სცილდება პოლიტიკური და გეოგრაფიული გაგების ჩარჩოებს. ხალხს უნდა შევაგონებინოთ, რომ მემკვიდრეობის ღირებულებანი ზოგადაკაცობრიო ღირებულებანია. მაგრამ ამასთან კონვენცია კონკურენციას არ უწევს ეროვნულ ინიციატივებს. იგი მხოლოდ ავსებს, სტიმულს აძლევს და განამტკიცებს მათ.

ტექნიკურმა ცივილიზაციამ შექმნა ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიშროება, რაც საფრთხეს უქმნის მთელი კაცობრიობის არსებობასა და კეთილდღეობას. აქედან წარმოიქმნება გენეტიკური და სხვა რესურსების დაცვა-შენახვის საკითხი, რაც აუცილებელს ხდის მსოფლიო მემკვიდრეობის იდენტიფიცირებას. ჟერიკის ფაუნის გადარჩენა, მაგალითად, მთელი კაცობრიობის, და არა მარტო აფრიკელი ამრიგენების, მოვალეობაა. ისევე, როგორც შავი ზღვის დაცვა მთელი კაცობრიობის, და არა მარტო შავზღვისპირა ქვეყნების საზრუნავია.

იგივე შეიძლება ითქვას ხელოვნებისა და არქიტექტურის ქმნილებებზე. კონვენციის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვენეციის, ათენის აკროპოლისის, კიევის ან ზემო სვანეთის დაკარგვა ნიშნავს, რომ „მთელ კაცობრობას წავართვთ მისი საუნჯის ნაწილი“.

იუნესკოს კონვენციაში ჩაბმულ ქვეყნებს კომიტეტი უაღრესად მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების გაგზავნით ადგილებზე დახმარების გასაწევად, უველა დონის სპეციალისტების მომზადებაში, მოწყობილობის და ხელსაწყოების შეძენაში, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი უსასყიდლო საუნსიდიების მიცემაშიც.

მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის ფონდს შეადგენს წევრი სახელმწიფოების სავალდებულო და ნებაყოფლობით შენატანები.

საქართველოს კულტურის ძეგლების შეტანა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ძალზე მნიშვნელოვან და უაღრესად აქტუალურ მოვლენად მიგვაჩნია.

თამაზ ნათიძე.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილე.
(საქინფორმი).

ვიქტორ დოლიძის საიუბილეოდ

ალალგაზრდა ნიჭიერ მომღერალთა გამოვლენასა და მხარდაჭერას ისახავს მიზნად ვიქტორ დოლიძის სახელობის ვოკალისტთა კონკურსი, რომელიც გაიმართება 1-დან 10 ოქტომბრამდე რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში. ეს შემოქმედებითი დათვალიერება ეძღვნება ქართული მუსიკის კლასიკოსის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავს.

საქართველოს კულტურის სამინისტროში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ თუმცა ამ კონკურსს რესპუბლიკური დათვალიერების სტატუსი აქვს, მასში მონაწილეობისათვის განაცხადი უკვე გააკეთეს ქვეყნის ბევრი ქალაქიდან. მათ შორისაა ლენინგრადი, კიევი, ასტრახანი, ყაზანი, ბაქო, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. პირველობისათვის იბრძოლებს 45 ვოკალისტი, აქედან ოცი — თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის და ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტები, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები არიან.

ყოველივე, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე, შედიან ცნობილი ქართველი ვოკალისტები, მათი ლენინგრადელი, ბაქოელი და ბალტიისპირელი ფალეგები.

კონკურსი სამ ტურად გაიმართება. პროგრამაში შედის დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მაგრამ აქცენტი გაკეთებულია ქართველ კომპოზიტორთა თხზულებებზე და, რა თქმა უნდა, ფართოდ იქნება წარმოდგენილი ვიქტორ დოლიძის რომანსები და ოპერა „ქეთო და კოტეს“ ნაწყვეტები.

ვოკალისტთა ეს კონკურსი იმ ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია, რომლებიც ვიქტორ დოლიძის საიუბილეო გეგმითაა გათვალისწინებული. ამ დღესასწაულს დაიკვირგვინებს საიუბილეო სხდომა და კონცერტი, რომელიც წლის ბოლოს გაიმართება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მაყურებლები ნახავენ ოპერა „ქეთო და კოტეს“ პრემიერას, რომელსაც დგამს რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი ხელოვნების ოსტატები და კონკურსის ლაურეატები.

ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში დაიდგმება კომპოზიტორის ბიუსტი. საიუბილეოდ გამოვა ფირფიტა „ქეთო და კოტეს“ ჩანაწერით, აგრეთვე ლადო დონაძისა და მირა ფიჩხაძის შრომები.

(საქინფორმი).

ქართული კულტურის საკეთილდღეოდ

პაატა ბურჭულაძის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მისმა ნიჭმა მსოფლიო აღიარება პოვა.

იგი ერთგულად ამოუდგა მხარში საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ ქართველ ხელოვანთა უცხოეთში მოპოვებული ვალუტა ისევ ქართულ კულტურას მოხმარდეს და არა სხვადასხვა საკავშირო საკონცერტო ორგანიზაციას. გამოჩენილმა ხელოვანმა უკვე გადადგა კეთილშობილური ნაბიჯი და საკმაოდ დიდი თანხა — 30.000 მარკამდე ჩარიცხა ეროვნული კულტურისათვის.

გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურის სხვა ოსტატებიც მომავალში ისევ და ისევ მშობლიურ კულტურას მოახმარენ მოპოვებულ ვალუტას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინფორმაციო ცენტრი.

დასრულდა ფესტივალი „ქეგა ვაზისა“

დასკვნითმა მუსიკალურმა აკორდებმა დაგვირგვინეს კერძოული მუსიკის ყოველწლიურმ თელავის ფესტივალი „ქეგა ვაზისა“. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ფესტივალი თავისი მასშტაბებით არ ჰგავდა არცერთ წინანდელს, შეზღუდული იყო მუსიკოსთა სიაც, მასში არ მონაწილეობდნენ ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი შემსრულებლები, — ფესტივალი მაინც დღესასწაულად და ზეიმად გადაიქცა. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა დასკვნით საღამოზე რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ რეზო ამაშუკელმა.

ქართველმა ახალგაზრდა შემსრულებლებმა, რომლებსაც ახლანდელ კონცერტებში ფართო ადგილი ჰქონდათ დათმობილი, ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს. განსაკუთრებით აღნიშნავენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების პიანისტ ელისო ბოლქვაძისა და მევიოლინე ლიზიკო ბთოიაშვილის დიდ წარმატებას. როგორც ყოველთვის, შესრულების მაღალი კულტურა და ოსტატობა გამოავლინა საქართველოს სახელმწიფო სიმღერებმა ვკვარტეტმა; და, საერთოდ, კონცერტების ყველა მონაწილემ თავისი ხელოვნებით ხელი შეუწყო ფესტივალის აღმავლობას. დაუფიქრავი სალამო აჩუქა მსმენელებს ლენინგრადელმა პროფესორმა პიანისტმა ნათან პერელმანმა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის კონცერტებზე დასასწრებად გერმანიის ქალაქ ბიბერახიდან — თელავის დაძმობილებული ქალაქიდან — ჩამოვიდა მუსიკის მოყვარულთა ჯგუფი.

(საქინფორმი).

დასვენების კერები

სტუმართა მოლოდინში

განთიადისას, ფოთოლთა შრიალთან და ჩიტების ყღორტულთან ერთად იღვიძებს. იღვიძებს და სტუმართა დასახვედრად ემზადება, ასე დაუწესებიათ მისთვის, ყოველ წუთს, ყოველ წამს სტუმრის მოლოდინში უნდა იყოს, ყველა მის ლამაზ, ღია „დარბაზებში“ მიიწვიოს, ამოლტილ ხეთა ჩრდილქვეშ მიუჩინოს მყუდრო სავანე.

აქ მუდამ ხალხმრავლობაა, ზოგს საბავშვო ატრაქციონებისაკენ მიჰყავს პატარები, ზოგი ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნისაკენ მიეშურება, ზოგიც ბიბლიოთეკისაკენ. ეს ხომ ერთადერთი სპორტული ბიბლიოთეკაა საქართველოში, სადაც ხშირად ეწყობა შეხვედრები მწერლებთან, პოეტებთან, საზოგადო მოღვაწეებთან.

ფართოდ გაშლილი კიბიდან იწყება მომსვლელთა დაუსრულებელი მოძღვა-გასტუმრება. კიბის დასასრულს, ლომების სკულპტურული კომპოზიციის მარჯვნივ და მარცხნივ გზებს მარადმწვანე დეკორატიული ღობეები გასდევს.

მთიდან 26 მეტრი სიმაღლის გრანატის კვარცხლბეკზე აღმართული ბრძნჯოს დედის ქანდაკება დგას. 40 დიდი და პატარა შადრევანი, დიდი და მცირე აუზებითა და წყალმდინარით დედის ცრემლთა ნაკადის შთაბეჭდილებას ქმნის.

20 წყალვარდნილი, 50 მეტრი სიმაღლიდან საფეხურებით ქვემოთ მიექანება კასკადის ბოლოს, აუზის ფუა ბიჭუნას ქანდაკება დგას. მას გადაჭრილ მუხის ნაყარი ტოტებისთვის ჩაუვლია პაწია ხელი. ფორს მუშებზე შეფენილი ტყე-პარკის ზონა, კუს ტბა და ქართული ხალხური ეთნოგრაფიული მუზეუმი-დაუსრულებელ სანახაობებს ქმნის.

ასეთია იგი, თბილისელთათვის საყვარელი დასასვენებელი ადგილი — ვაკის კულტურისა და დასვენების პარკი. მისი ფართობი დღესდღეობით 20 ჰექტარს მოიცავს, ხოლო სიცოცხლის წლები მხოლოდ და მხოლოდ ოცდაცამეტს ითვლის. მშენებლობა კი პირველად 1946 წელს არქიტექტორების ს. დგებუაძისა და გ. ციცაშვილის პროექტით დაწყებული.

თურმე იმხანად აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი თავის სტუდენტებთან ერთად მუხლჩაუხრელად შრომობდა აქ. რკვევა და აშენებდა ხეთა უნიკალურ ჯიშებს. ამ მაღლიანმა კაცმა ხომ ბუნება ყველგან თავისებურად აამღერა და აამეტყველა. ამის დასტურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკ ნიკოსდროინდელი ეზო-მიდამოც იკმარებდა. დღეს ცად ატყორცნილი მუხა, ნეკერჩხალი, იფანი, რცხილა, კოპიტი, კაკალი, ვერხვი, ჭადარი, ფიქვი თუ კედარი მისი მადლიანი მარჯვენის უტყუარი მოწმეა.

ვაკის პარკის ძირითად ნაწილში მწვანე ნარგავებს 94.600 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია, აქედან ხე-მცენარეების რაოდენობა 17.213 ძირია, ბუჩქებისა — 330.671. ბოლო დროს აქ კიდევ 9.000 ხე-ბუჩქი გაშენდა. ხოლო პარკის მიმდებარე ტერიტორიის მწვანე ნარგავების საფარი 210 ჰექტარს შეადგენს.

აუზები, შადრევნები თუ მცენარეები ერთობ ეგზოტიკურსა და არაჩვეულებრივ ბუნებრივ კლიმატურ პირობებს უქმნის პარკს.

ბოლო სამ წელიწადში პარკმა საგრძნობლად იცვალა სახე. ახა დაკვირდით ცოცხალ ღობესა თუ რკინის პატარა მესერს გადაღმა ადგილებს? აქ თეთრი, ლურჯი, წითელი, იისფერი, პირისფერი ჰორტენზიები იწონებენ თავს. იქით დრაცენას გაუბარია. ფაანდანზად გაფენილ ხასხასა ბალახს შორის თითქოს ყვავილებით სავსე კალათები ჩაუდგამთო. რგვალშორის გზებსა და გზაჯვარედინებზე კი სხვადასხვა ყვავილოვანი ფარადი ლარნაკები დგას.

შარშან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, გაზონების გაფორმებისა და გამწვანებისათვის პარკი ეერცხლის დიდი მედლით, ხოლო მისი დირექტორი ფულადი პრემიით დაჯილდოდა.

რუსპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებმ და ორგანიზაციები ზშირად ქმედით დახმარებას უწევენ პარკს. გაზაფხულზე საქართველოს „აგრომრეწვმა“ პარკს 65 ათასი მანეთის მცენარე გადასცა უფასოდ, რომელიც ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ოზურგეთის მშრომელებმა გააშენეს. კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ დეკორატიული ღობეები უსაჩუქრა, ხოლო საქართველოს ტურიზმის სამმართველომ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის 20 ათასი მანეთი გამოჰყო. დახმარების ხელი გაუწოდა აგრეთვე „ხიდმშენმა“, კინემატოგრაფიის მთავარმა სამმართველომ კინოეკრანისა და ესტრადის შეცვლა იკისრა, ხოლო გზებისა და ავტოტრანსპორტის სამინისტრომ საჩუქრად თვითმცველი ავტომანქანა გადასცა. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ მარტო ეს რომ არ კმარა? ცადატყორცნილ ხეებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. აბა, თვალი გადავავლოთ კედარებს. მათ მოწყენილობა და ავადმყოფობა შესჩ�ვეთ, შველას ითხოვენ... არა, ისე კი არ გამიგოთ, თითქოს, პარკის მცსეურების უყურადღებობის ბრალი იყოს. ეს რომ ასე არაა, თვით პარკის არე-მარეა ამის დასტური. მთავარი აგრონომი გ. ანთელაძე, დირექტორის მოადგილე გ. გოგორიშვილი, აგრონომ-დეკორატორი ც. ბაკურაძე, აგრონომი ტ. ობოლაძე, მებაღე ა. სხირტლაძე, თანამშრომლები თ. ქავთარაძე, თ. თოდუა, გ. გაბუნია, რ. მურღულია, რ. სილაგაძე და სხვები მხრუნველობას არ აკლებენ მწვანე ნარგავებს.

პარკს აქვს სასათბურე-საყვავილე მეურნეობაც, სადაც ყვავილთა ჯიშები გამოსყავთ. აქვე შექმნილია ტექნიკური უსაფრთხოების სამმართველო კომისია, რომელიც ყოველდღიურ ტექნიკურ მდგომარეობას ამოწმებს. მაგრამ მათი საქმიანობა არარად იქცევა, თუ თითოეული დამსვენებელი არ გაუფრთხილდება და სათუთად არ მოეპყრობა აქაურობას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ზოგი მოგონილი ფეხით ფილავს. ითესავს და სხვა ამბებინებულ ნათესებს, აზიანებს ხე-მცენარეებს, დგამ-ვეჯესა თუ გასართობებს. გაზაფხულზე ახალგაზარდებული ნერგები უმოწყალოდ ამოგლეჯეს, გამენებული ყვავილები მოთხარეს, ნაწილი კი ფეხით გადათელეს...

თუ ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო-მეტყევეობის კვლევითი ინსტიტუტი პარკს მეფობას იკისრებს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტები აქ საწარმოო პრაქტიკას გეგეილიან, მათი უშუალო მონაწილეობით პარკის საკეთილდღეოდ ბევრი რამ კარგი გაკეთდება:

აი, რა გვიამბო დირექტორმა, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი შიოშვილმა.

— პარკის ტერიტორიაზე შერეული ტიპის ხეებია გაშენებული. ბევრმა მათგანმა დროს ვერ გაუძლო. საჭიროა მათი გამოხშირვა და თანდათანობით ახალი ხე-მცენარეებით შეცვლა. ამ საქმეში ჩვენ მეტყევე-სპეციალისტების დახმარება გვჭირდება, შარშან მუხის ხეივანი გავაშენეთ: მუხამ აქ ბუნებრივი წყაროთ იმრავლა. გვსურს, მუხა გავამრავლოთ, შემდეგ კი სკოლებს გადავცეთ, დაე, იშრომალოს მისმა ნერგმა საქართველოში. — აი აქ, მუხის ხეივნის ბოლოს, ჩანჩქერთან ახლოს პოეზიის კუთხე გვინდა მოვაწყოთ. აქ შეიკრიბებიან ახალგაზრდები და თავიანთ სიტყვას იტყვიან. აქ კი, ღია ეხტრადაა, მისი გამოყენება შეიძლება, თუნდაც სიმფონიური ორკესტრისათვის. საერთოდ მომავალში მრავალფეროვანი სანახაობებით გვსტუმრ გავამდიდროთ ჩვენი პარკი.

ცხელა. თბილისის ვაკის კულტურისა და დასვენების პარკში ხალხმრავლობაა. ფერად, მუსიკალურ შადრევანთან ბავშვები ხტუნაობენ. მონაპრული ნიავი ზეფებს შორს ფანტავს. აკისკისებული პატარები მხიარული ერიამუნით გარბი-გამორბიან, მაგრამ კვლავ შადრევანს უბრუნდებიან და. ზეფების დაჭერის ლამობენ. ირგვლივ სიცოცხლე სუფევს, რადგან ამ დიდებულ სავანეს, მის ცხოვრებისეულ სუნთქვას, სიცოცხლესა და სიხარულს მხოლოდ ადამიანები ანიჭებენ.

ცისანა სიხარულიძე.

სურათზე: ვაკის პარკის დირექტორის მოადგილე გურამ გოგორიშვილი და აგრონომი ციალა ბაკურაძე ყვავილოვან მცენარეებზე დაკვირვებისას.
თეიდო ნიკოლაიშვილის ფოტო.

შემოქმედებითი რუსთაველის პროსპექტზე

19 სექტემბერს დილით სამუშაოზე მისულ საქინფორმის თანამშრომლებს, ისევე როგორც რუსთაველის პროსპექტზე მყოფ ქალაქელებს, არ შეიძლება ყურადღება არ მიეპყროთ საგზაგნის პირდაპირ მდებარე №29 შენობასთან შეკრებილი ხალხისათვის. ახლა იქ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაა. უყურადღებოდ ვერ დარჩებოდა ვერც პირველი სართულის ფანჯრების ჩამსხვრეული მინები და გარეჯული ჩარჩოები.

— ყოველივე ეს ჯერჯერობით უცნობ პირთა ნახელავია, — თქვა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრმა ვანო მეზვრიშვილმა. — ბოროტმოქმედებმა დილაადრიან მინები ჩაამსხვრიე და შენობაში შეაღწიეს. მთ სროლა ატეხეს და ცეცხლგამჩენი ბოთლები დაუშინეს ოთახებს, მიაწყვეს რბევა. მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს თვით შტაბს, გაზეთ „დროების“ რედაქციისა და ეამომცემლობას, სხვა შეზობელ ოთახებს.

მაინც, რა იციან ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა?

— დაახლოებით დილის ოთხ საათზე, — თქვა მთაწმინდის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა რეზო მაღლაკელიძემ, — შენობაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით შეიჭრნენ უცნობები და ცეცხლი გაიჩინეს. დაიწვა ერთი ოთახი, ხანძრის შემდგომი გავრცელების თავიდან აცილება მოხერხდა. შემთხვევის ადგილას აღმოჩენილია ავტომატური იარაღის ჭილნები. რაღაც ამდაგვარი მოხდა იმავე ღამეს რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სხვა შენობაში, სადაც წინათ კომკავშირის საქალაქო კომიტეტი იყო, ახლა კი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაა. მილიციის მუშაკებმა აქაც აღმოაჩინეს ხანძრის კვალი და საბრძოლო იარაღის ჭილნები. მომხდარ ამბავს იძიებენ საგამოძიებო ორგანოები.

ზურაბ გრძელიშვილი.
საქინფორმის კორ.

შემქმნა ხიმშიაშვილის საზოგადოება

ბათუმში გაიმართა სრულიად საქართველოს სელემ ხიმშიაშვილის (პატრიოტის, საზოგადო მოღვაწის) საზოგადოების დამფუძნებელი კრება, არჩეულია საზოგადოების გამგეობა და მისი პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარეგახდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი სიმონ შარაძე.

კრებამ დაავალა გამგეობასა და პრეზიდიუმს გააქტიურონ მუშაობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საზოგადოების ჯგუფებისა და ორგანიზაციების ფორმირებისათვის. მოამზადონ საზოგადოების პირველი კრება, მოაწყონ საიუბილეო ღონისძიებები საქართველოს ღირსეული შვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

საზოგადოებამ მოუწოდა ყველა ქართველ პატრიოტს ხელი შეუწყოს საზოგადოების ჯგუფებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

(საქინფორმი).

ბასრულდა

ალალგაზრდა ნიჭიერ მომღერალთა გამოვლენასა და მხარდაჭერას ისახავს მიზნად ვიქტორ დოლიძის სახელობის ვოკალისტთა კონკურსი, რომელიც გაიმართება 1-დან 10 ოქტომბრამდე რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში. ეს შემოქმედებითი დათვალიერება ეძღვნება ქართული მუსიკის კლასიკოსის ვიქტორ დოლიძის დაბადების 100 წლისთავს.

საქართველოს კულტურის სამინისტროში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ თუმცა ამ კონკურსს რესპუბლიკური დათვალიერების სტატუსი აქვს, მასში მონაწილეობისათვის განაცხადი უკვე გააკეთეს ქვეყნის ბევრი ქალაქიდან. მათ შორისაა ლენინგრადი, კიევი, ასტრახანი, ყაზანი, ბაქო, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. პირველობისათვის იბრძოლებს 45 ვოკალისტი, აქედან ოცი — თბილისის ოპერისა და

ქართული კულტურის საკეთილდღეოდ

პაატა ბურჭულაძის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მისმა ნიჭმა მსოფლიო აღიარება პოვა.

იგი ერთგულად ამოუდგა მხარში საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებას, რომ ქართველ ხელოვანთა უცხოეთში მოპოვებული ვალუტა ისევ ქართულ კულტურას მოხმარდეს და არა სხვადასხვა საკავშირო საკონცერტო ორგანიზაციას. გამოჩენილმა ხელოვანმა უკვე გადადგა კეთილშობილური ნაბიჯი და საკმაოდ დიდი თანხა — 30.000 მარკამდე ჩარიცხა ეროვნული კულტურისათვის.

გვწამს და ვიმედოვნებთ, რომ ქართული კულტურის სხვა ოსტატებიც მომავალში ისევ და ისევ მშობლიურ კულტურას მოახმარენ მოპოვებულ ვალუტას.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინფორმაციო ცენტრი.

გასწორება

ბუშინ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ანგარიშში რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გაიპარა შეცდომა. მესამე სვეტის მესამე აბზაცის ბოლო უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად — „საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტა